საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალი

# კომუნისტი

შაბათი, 14 აგვისტო 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 17 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 17

„რევოლიუცია მხოლოდ იმ დროდან პოვებს თავის თავს, როცა საკუთარ, ორიგინალურ სახელს იძენს, ეს კი მხოლოდ იმ დროს ხდება, როცა თანამედროვე რევოლიუციონური კლასი —პროლეტარიატი, გადაჭრით იკავებს მასში მთავარ ადგილს".

კ. მარქსი. კლასთა ბრძოლა საფრანგეთში.

## „გულუბრყვილო ყაჩაღობა"

საქართველოს სახელგანთქმულ ოაზისში, სადაც ბრძანებლობს კიდით-კიდემდე სახელგანთქმული პარტია მენშევიკებისა, ყოველივე თავდაყირა დადგა თითქოს, კეთილი ბოროტებათ იქცა, ბოროტება კეთილად, რაც დამტკიცებული და ეჭვმიუტანელი იყო საეჭვო და დასამტკიცებელი შეიქმნა, საეჭვო კი აქსიომათ გახდა. ვინ არ იცოდა წინეთ, რომ პოლიტიკური პატიმრები შიმშილს მიმართავენ მხოლოდ მაშინ, როცა სხვა მეტი საშუალება აღარ დარჩენიათ საპროტესტოთ და საბრძოლველად, მიმართავდენ უმეტეს შემთხვევაში რაიმე კონკრეტულ მიზნის მისაღწევათ—ციხის საშინელ პირობების გასაუმჯობესებლად, ნაგემებ შეურაცხყოფის საპროტესტოთ, ძალადობის საწინააღმდეგოთ, რაც უსაბუთოდ დაკავებაში და ბრალდების წაუყენებლობაში გამოიხატება, და სხ. ეს იმდენათ უდაო იყო, რომ ფაქტის მნიშვნელობა ქონდა, რომლის მნიშვნელობა თავის თავად იგულისხმებოდა, მის გამო მოკირკიტე და კბილი კრეჭია ოხუნჯების ჰაგენი ვერ ამეტყველდებოდენ. ასე იყო, მაგრამ ასე აღარ არის. 3—4 დღე შიმშილობდენ 200-მდე კომუნისტი დემოკრატიულ ციხეებში, შიმშილობდენ სავსებით კონკრეტიულ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის გამო და ეს გარემოება ერთი სიტყვითაც არ მოიხსენიეს და არ შეატყობინეს მენშევიკების გაზეთებმა თავის მრევლს, ხოლო როცა შიმშილობა მოხსნილ იქმნა, მაშინ „ერთობის" მოწინავემაც და ცნობილ „თეორეტიკოსმა" ბ. დევდარიანებმაც დროულად იცვნეს ამეტყველება. ეს უკანასკნელი რასაკვირველია შორს და ღრმათ სჭვრეტს სამყაროს მოვლენებს და თითქოს არ იცოდეს პატიმარ კომუნისტების მოთხოვნები, ვითომ გულუბრყვილოთ იკითხება („ერთობა" 181): ამ შიმშილობით „ხომ მარტო ის არ უნდოდათ, რომ მთავრობას ან მალე გაენთავისუფლებია დატუსაღებული ბალშევიკები, ან ბრალდება დაეჩქარებია მათთვის. იმ დიდ პარტიას, „რომელიც საერთაშორისო რეაქციაზე იმარჯვებს", არ შეეფერება ამისთანა პატარა მიზანი. არა ადგილობრივი ბალშევიკები ფიქრობდენ ერთი მხრივ თავის გარშემო საზოგადოებრივი თანაგრძნობის შექმნას, მეორე მხრივ მთავრობის წინააღმდეგ გულისწყრომის გამოწვევას. სწორეთ აქ არ გაუმართლდათ იმედი"-ო... ასეთი მწერალი რასაკვირველია ვერ იგრძნობს, რომ ასეთი ხელის ფათური ჯერ კიდევ გაფითრებულ და საავადმყოფოში მყოფ მოშიმშილე პატიმრების გულში ერთგვარი კალმით ყაჩაღობაა, ვერ იგრძნობს იმასაც თუ რამდენათ სტყუის, როცა კომუნისტებს სწამებს „საზოგადოებრივი თანაგრძნობის" წყურვილს, ე. ი. მენშევიკების „საზოგადოების"—ყველა ნაციონალისტ-შოვინისტების, სპეკულიანტების და სხვა ასეთების. არა ბატონებო! შიმშილობა იყო ბუნებრივი, შეუკავებელი პროტესტის გამოხატულება უხეშ ძალადობის წინააღმდეგ, და ამ ბუნებრივ პროტესტს ერთიდა მიზანი ნიღაბის ჩამოგლეჯა ყველა იმ ცილისმწამებელ-მატყუარებისათვის, რომელნიც გაიძახოდენ და იფიცებოდენ, რომ „აუარებელი საბუთები" გვაქვს კომუნისტების არალეგალური მუშაობის დამამტკიცებელიო. კომუნისტების შიმშილობამ სავსებით გამოამჟღავნა სიცრუე ასეთი ფიცის, შიმშილობამ მზეზე გამოიყვანა ყველა ცილისმწამებელი მიძალადენი და, ამიტომაც ჩვენ ვამბობთ — რომ სრული გამარჯვებით დამთავრდა ჩვენი ამხანაგების საშინელი ბრძოლა. გამოიწვევს თუ არა ნიღაბის ჩამოგლეჯა გულისწყრომას მენშევიკების და მთავრობის წინააღმდეგ—ეს სულ უმნიშვნელო რამ არის,—ალბად არ გამოიწვევს, ვინაიდან მათი „საზოგადოება" ამ მხრით გვარიანი მაგარშუბლიანი და საკმაოდ მოწამლულია. მაგრამ არის კიდევ მეორე საზოგადოება, საზოგადოება პატიოსან მშრომელების როგორც აქ, ისე საქართველოს გარეშეც და ამ საზოგადოებამ უკვე დაინახა ფასი კომუნისტების გასამტყუნებელ „საბუთების", ფასი მათი შემაჩვენებელ პროკურორების პატიოსანი სიტყვა—რწმუნებისა. და ეს ისეთი გამარჯვებაა, რომ შიმშილობის საშინელი საათების და დღეების სიმწარენი სავსებით ანაზღაურებულათ უნდა ჩაითვალოს. დაპატიმრებული კომუნისტები დღეს მხოლოდ ძალადობის მსხვერპლებს წარმოადგენენ —ასე დაასკვნის ყოველი პატიოსანი წევრი საზოგადოების და არა „საზოგადოების". ამასვე დაასკვნის, ვინც გაეცნობა ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულ წერილს ჩვენი სოხუმელ ამხანაგებისას, რომელნიც საველე „სასამართლოში" არიან მიცემულნი, ვექილის მოწვევის უფლებას მოკლებული არიან, სიკვდილით დასჯა მოელის სწორედ ისეთი „საბუთების" მიხედვით, რომლის წარდგენა ვერ გადაუწყვეტია მათ პროკურორებს ჩვეულებრივი სასამართლოსთვის. და რომ მართლა სიკვდილის ცელი ამუშავდეს სოხუმში, რას ეუბნებით ბ.ბ. დევდარიანებო და ყველა მენშევიკებო ჭეშმარიტ საზოგადოებას და ახლო ისტორიას?

## „მუშათა დელეგაციის" გაგზავნის გამო.

მუშათა დელეგაციის შედგენას მართველი პარტია ისე ოსტატურათ ახერხებს, რომ შიგ არც ერთი კომუნისტი არ შედის. და ეს დელეგაცია იგზავნება საბჭოთა რუსეთში, იმ ქვეყანაში, სადაც სწორედ კომუნისტები არიან იქაური ცხოვრების შეუცილებელი ბატონ-პატრონი.

ამავე დროს, თუმცა დელეგაციას ერთიანათ მენშევიკები და მათი მონათესავენი შეადგენენ, მარა ფორმალურათ ისეა ეს მოწყობილი, თითქო აქ მუშათა შორის არსებულ ყველა მიმდინარეობას ყავდეს თავისი წარმომადგენელი. გამოდის, რომ კომუნისტი მუშები და კომუნისტი გლეხები არ არსებობენ საქართველოში და მათ არც წარმომადგენელი გააჩნიათ.

ეჭვს გარეშეა, მენშევიკების მორჩილი დელეგაცია სწორედ ამგვარად შეეცდება საქმის გაშუქებას რუსეთის პროლეტარიატის წინ ის იტყვის, რომ ქართველ მუშებში ბოლშევიკებს სრულიათ არა აქვთ ადგილი და თუ იყო ბალშევიკური მოძრაობა საქართველოში, ეს იყო „ინოროდცების", რუსის ჩინოვნიკების და ცხოვრებიდან გარიყულ ნაძირალების მოძრაობა. ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ მენშევიკებს არ შერცხვებათ ამის თქმა სწორეთ მაშინ, როდესაც ქართველი მუშები დღესაც ასობით სხედან საქართველოს ციხეებში მხოლოთ იმიტომ, რომ ისინი კომუნისტები არიან.

ისინი წარბშეუხრელათ გაიმეორებენ აქ დაზეპირებულ ლათაიებს შესახებ იმისა, რომ საქართველო სამოთხეს წარმოადგენს, რომ აქ გამეფებულია მუშათა კლასი, დამყარებულია თავიდან ბოლომდე დაცული დემოკრატიზმი, განხორციელებულია რევოლიუციის ყველა მონაპოვარი: სიტყვის, კრების, ბეჭდვის თავისუფლება და სხ. რაც შეეხება ბალშევიკების დევნას, ეს ან სულ მიჩქმალული იქნება, ან ისე გააშუქებენ მას, რომ ბალშევიკები წარმოადგინონ ყოველი სასჯელის ღირსათ.

უეჭველია, ეს მოსაზრება ასულდგმულებდათ მენშევიკებს, როდესაც დელეგაციაში დაშნაკლები და ფედერალისტებიც კი შეიყვანეს, ხოლო ბალშევიკებზე კრინტიც არ დაძრეს, თუმცა ვინ არ იცის, მაგალითად ფედერალისტებს რა მუშაცა ლაშქარიც მოეპოვებათ. მათ უნდათ საქართველოს მუშათა კლასი ერთ მთლიან ფრონტათ წარმოადგინონ, სადაც სხვა და სხვა იდეური მიმდინარეობა საბოლოვოთ ერთი აზრით არის გამჭვალული. მათ უნდათ დამალონ ის მათთვის უსიამოვნო ფაქტი, რომ ეს ფრონტი საკმაოთ გარღვეულია და ერთი მისი ნაწილი საქართველოს ციხეებში ლპება; რომ თუ არსებობს მუშათა საერთო ფრონტი, ამ ფრონტს მთელი ძალღონით ამაგრებენ საქართველოს გაბატონებული კლასები, რომლებიც დღეს უკეთ, ვიდრე ოდესმე სარგებლობენ თავისი პრივილეგიური მდგომარეობით.

ჩვენ ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ და ვეცადოთ დისონანსი შევიტანოთ მენშევიკ ფედერალისტ-დაშნაკელების შეხმატკბილებულ ძილისპირებში. ჩვენ უნდა ავირჩიოთ ჩვენი დელეგაცია, რომელიც მექანიკურათ კი არ შეუერთდება მენშევიკების დელეგაციას, არამედ დაუპირდაპირდება მას. რუსეთის მუშების წინ უნდა წარსდგენ ქართული მენშევიკების ცოცხალი მამხილებელი, რომელნიც ყოველ მათ გამაბრუებელ თავის ქებას დაუპირდაპირებენ შეულამაზებელ სინამდვილეს საქართველოს ცხოვრებიდან.

ჩვენი აზრით, საკმარისია, რომ დელეგაცია ორი კაცისაგან შესდგებოდეს: ერთი მუშა უნდა იყოს და მეორე გლეხი, იგივე სოფლის მუშა.

მაგრამ კითხვა იბადება; როგორ უნდა აირჩეს მთელი საქართველოს კომუნისტ-მუშების დელეგაცია, როდესაც ჩვენ ვერ მოგვიწყვია პარტიული სიეზდი, ვერ მოგვიწყვია თვით მსხვილ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირი? განა მთავრობა ამ შემთხვევისათვის მაინც ხელს აიღებს რეპრესიებზე და შეგვაძლებინებს მოვიწვიოთ ყველა კომუნისტ მუშა-გლეხების ყრილობა?

რასაკვირველია, ჩვენ არა ვართ ისეთი გულუბრყვილოები, რომ ეს შესაძლებლად მივიჩნიოთ. მაშასადამე, სხვა გზა უნდა ავირჩიოთ,

ჩვენის აზრით, აქედან გამოსავალი მხოლოთ ერთია. ჩვენი პარტიის უმაღლესმა ორგანომ, ცენტრალურმა კომიტეტმა, უნდა წამოაყენოს შესაფერი კანდიდატები და მისცეს წინადადება ადგილობრივ ორგანიზაციებს — გადაიტანონ საკითხი ძირითად იაჩეიკებში და მოახდინონ არჩევნები.

ამგვარათ არჩეული მუშისა და გლეხისგან შემდგარი კომუნისტური დელეგაცია უნდა დაედევნოს მენშევიკების დელეგაციას და მიიღოს მონაწილეობა ყველა იმ გამოსვლებში, რომლებსაც მენშევიკები საბჭოთა რუსეთში მოაწყობენ.

ასევე უნდა მოიქცეს იგი რუსეთიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგაც. მენშევიკების მოხსენებას საბჭოთა რუსეთზე მან უნდა დაუპირდაპიროს თავისი მოხსენება და შეიქნეს პირდაპირი შუამავალი რუსეთის პროლეტარიატის და საქართველოს მუშათა კლასს შორის.

რა თქმა უნდა, საქართველოდან მიმავალი კომუნისტ მუშების დელეგაცია უნდა აღიჭურვოს შესაფერი მასალებით. მენშევიკების დელეგატები ამ მხრივ სინემატოგრაფიულ ლენტებსაც კი არ დაივიწყებენ და ეცდებიან მეტი ზარით და ზეიმით გააყრუონ თავისი მასპინძლები თავის ქებით.

ჩვენს დელეგაციას ასეთი არაფერი დასჭირდება. მისი უმთავრესი მასალა იქნება „ერთობის" და „ბორბას" სრული კომპლექტები, მეტადრე 1917 წლის 25 ოქტომბრის შემდეგ გამოსული ნომრები.

ამით ჩვენ შევავსებთ იმ ნაკლს, რომელიც ახლავს მუშათა დელეგაციას მენშევიკების მოწყობილი ხრიკების წყალობით.

იქსი.

## ბიბლიოგრაფია.

**ნ. ხომერიკი. აგრარული რეფორმა და ჩვენი სოფლის მეურნეობა თბილისი, 1920.**

(დასასრული. იხ. № 15.)

ბ. ხომერიკი ცდილობს სიმძიმის ცენტრი აგრარული საკითხის გადაჭრაში გადაიტანოს ბატონყმობის ნაშთების აღმოფხვრისკენ და რა კი ასეთი აღმოფხვრა ახლა დასრულებულია ჩვენში (მისი აღმოფხვრა 1861 წ. რეფორმამ დაიწყო და ვორონცოვ-დაშკოვის დროს გამოცემულ კანონებმა მოათავეს თითქოს), ბ. ხომერიკიც დოინჯ შემოყრილი მიმართავს ყრილობას: „აი რა მოვიმოქმედეთ ჩვენ!" „აი რა ფასდაუდებელი, საარაკო გმირული საქმე ჩაუდენიათ სოციალისტებს; რუსეთის მეფის კანონმდებლობით გაუქმებული ბატონყმობის ნაშთების ნაშთები აღმოუფხვრიათ, და ეს იმ ქვეყანაში, რომლის გლეხობის რევოლიუციონერობა 1904 წლიდან საქვეყნოთ განთქმული იყო.

ბ. ხო—კი ვითომ ვერც კი ამჩნევს თავის წვრილ ბურჟუაზიული სათვალეებით, რომ ნაშთების აღმოფხვრა კი არ შეადგენდა სოც.-დემ. აგრარულ პროგრამის ქვაკუთხედს,—ის იყო წინასწარი აუცილებელი პირობა, არამედ ის პოლიტიკა, ის მიწის კონსტიტუცია, რომელიც უნდა განეხორციელებია პარტიას ყველა კონფისკაციაქმნილ მიწების კანკარგულების საქმეში. განა თვითმპყრობელობის ნაშთების აღმოფხვრა მარტო მეფის ჩამოგდებაში გამოიხატებოდა და ძველი პოლიტიკურ ურთიერთობის ხელუხლებლად დატოვებაში? განა პოლიტიკური პროგრამის მთელი სიმძიმე სწორედ იმაში არ არის, თუ როგორ მოაწყო მეფისაგან გათავისუფლებული სახელმწიფო აპარატი?

რა შეადგენდა მენშევიკების აგრარულ პროგრამის მთავარ ღერძს, რა ანსხვავებდა მას ყველა დანარჩენ პარტიების პროგრამისგან? ეს იყო მიწის მუნიციპალიზაცია. მთელი მიწა (გარდა წვრილ მესაკუთრეების), მათ შორის კერძო მემამულეების, უნდა ჩამორთმეულიყო და გადაცემოდა ადგილობრივი თვითმართველობის სხვილ ორგანოებს. ბ. ხომ—კი ამბობს; ვერ გავატარეთ ეს პროგრამა წმინდათ, მაგრამ „არც უნდა გაგვეტარებიაო". მენშევიკები მუდამ ფიცულობენ-ჩვენი პროგრამა მიტომ გვაქვს დაწერილი რომ ის განვახორციელოთო; აი იქ გვიწერია, რომ ჯერ ბურჟუაზია უნდა გაბატონდეს და მხოლოდ მერე, როცა ის დაჭაღარავდება და (მუშების ოფლით და სისხლით) ბევრ სიმდიდრეს დააგროვებს, მერე უნდა შევუდგოთ მემკვიდრეობაზეო; ასეთი ლათაიები მათ სჭირდებათ, როცა სახელგანთქმულ „დემოკრატიზმს" ბალშევიკები უპირდაპირებენ ნამდვილს, პროლეტარულ დემოკრატიზმს, საბჭოთა სისტემას და დიქტატურას.

მარა მიწის საკითხში, ამ საკითხთა საკითხში საქართველოსთანა ქვეყანაში, ისინი პროგრამას „ქაღალდის ნაფლეთად" თვლიან და ამპარტავნულათ მიმართავენ მათ, ვისაც წინეთ მუნიციპალიზაციით ყურებს უჭედავდენ და ახლა კი „საბრიყვო" ჯარიმას გადახდევინების შემდეგ წარბ შეუხრელად გაიძახიან—არც უნდა შეგვესრულებია ჩვენი დაპირება, ჩვენი პროგრამაო! რატომ? იმიტომ რომ „ეს ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობასა და ინტერესებსო." (გვ. 27) მუნიციპალიზაციით ჩვენ „მხოლოდ გავაბრაზებდით გლეხკაცობას და გადავკიდებდით ახალ წყობილებას, რაც მის დასამარებას გამოიწვევდაო." (იქვე)

და ამის შემდეგ ბ. ხომ—კს და მის აუდიტორიას შესწევთ გამბედაობა არ გაწითლდენ და იფიცონ არავითარი რევიზია ამ მოგვიხდენია—არც სიტყვით და არც საქმით—მარქსიზმის და პროგრამისო.

მივსდიოთ მტყუანს კარამდის, გავიხსენოთ ზოგი რამ სოც.-დემ. აგრარულ პროგრამის ისტორიიდან. თუმცა ამონაწერები ყრილობების ოქმებიდან, თუ მათ გაზეთებიდან ნამდვილი სილის გაწნა იქნებოდა ახლანდელ, გამეჩანებულ მენშევიკ. პარტიის ყოვლის ვამძლე ლოყებზე, მაგრამ ახლა ვერ ავაჭრელებთ ისედაც გაგრძელებულ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას და დავკმაყოფილდებით რამდენიმე ძირითადი მომენტების გახსენებით.

სოც.-დემოკრატიულ პარტიის აგრარული პროგრამა გამომუშავებულ იქნა პარტიის მეორე სიეზდზე, 1903 წ. პრინციპიალური, შესავალ ნაწილის გარდა (რაც უცვლელათ დარჩა პროგრამის შეცვლისას 1906 წ.) იქ იყო წამოყენებული ე. წ. ჩამონაჭრების დაბრუნების მოთხოვნა. ნ. ჟორდანიამ გაილაშქრა ასეთი პროგრამის წინააღმდეგ იმ მოსაზრებით, რომ საქართველოს, ასეთი პროგრამა თითქმის არაფერს ახალს არ აძლევს, ვინაიდან აქ, ნამეტურ დასავლეთ კულტურულ მხარეში ფეოდალიზმის ნაშთები ნაკლებათაა დარჩენილი და სოფლის გლეხობაც მომზადებული მეურნეობის უმაღლეს ფორმის შემოსაღებათო. ზოგან გლეხები თითონ გამოდიან მიწის სოციალიზაციის სასარგებლოთ და საერთოდ ჩვენ სრული სოციალისტური მეურნეობის დამკვიდრებას ვაპირებთ ქალაქთან ერთად სო-

ფელშიაცო. სტოკგოლმის სიეზდზე (1906 წ.), როცა რევოლიუციამ დღის წესრიგში ჩააყენა აგრარ. პროგრამის შეცვლა, დიდი შეხლა-შემოხლა სწარმოებდა იმ საკითხის გამო,

თუ როგორ მოეწყოს მიწის მფლობელობა და სარგებლობა. მენშევიკებმა წამოაყენეს პროექტი მიწის მუნიციპალიზაციის (პროექტი შემოვიდა პლეხანოვის, მასლოვის და ჟორდანიას სახელით) და იცავდენ მას გაფთრებით, მრავლისუმრავლეს საბუთების ჩვენებით, რომ მუნიციპალიზაცია არის ერთად-ერთი ფორმა, რომლის მხარის დაჭერა შეუძლია სოციალ-დემოკრატიას, რომ ის არის ერთად-ერთი ფორმა, რომელიც აკმაყოფილებს გლეხობას, ავითარებს საწარმოვოო ძალებს და სრულს გარანტიას იძლევა ძველი წესების რესტავრაციის წინააღმდეგ. ერთი-მეორეზე გამოდიოდენ მენშევიკები და გუნდრუკს უკმევდენ მუნიციპალიზაციას. დელეგატთა შორის იყვნენ მრავალი ქართველი მენშევიკი: ნ. ჟორდანია, პ. ჭიჭინაძე, ის. რამიშვილი, ჭ. ლომთათიძე, თვით ნ. ხომერიკი და სხ. არც ერთს კრინტი არ დაუძრავს საქართველოს განსაკუთრებულ პირობებზე. პროგრამაში თუ შეიტანეს მიწების დაყოფა (და არა გაყიდვა!) გლეხებ შორის, ეს მხოლოდ და მარტო იმ შემთხვევაში, თუ რევოლიუცია სავსებით ვერ გაიმარჯვებდა და გლეხებისათვის ადვილად გასაგები ლოზუნგის გადასროლა შეიქნებოდა აუცილებელი. და ბ. ხომერიკის ფიცი კი, რომ „მარქსისტულად" გამოვიყენეთ პროგრამა და რევოლიუციონური კანონმდებლობით მიწები დავუყავით გლეხებს სასყიდლათ—ერთი უშველებელი სიყალბეა ტრაბახობის ფხვნილით მოყრილი.

დამარცხდა პირველი რევოლიუცია, 1907 წლის მიწურულიდან აშკარად გამეფდა შავბნელი რეაქცია. სტოლიპინმა შეეცადა „მაგარ" გლეხებს დაყრდნობოდა, საგლეხო ბანკმა იწყო მემამულეების მიწების გლეხებზე გაყიდვა. ეს საკითხი საქართველოშიც დადგა, და აი როცა ყველა ჯურის სოციალისტ ნაციონალისტებმა იწყეს ქადაგება მიწების ხელიდან არ გაშვების და შესყიდვის შესახებ, ქართველმა მენშევიკებმა ნ. ჟორდანიას პირით მიმართეს ქართველ გლეხობას: ჩვენ ვერ გირჩევთ მიწების შესყიდვას, რადგან ჩვენ რევოლიუციონურ გზას ვადგივართ, მისი იმედი გვაქვს, რევოლიუცია კი უსასყიდლოთ მოგანიჭებსთ მიწასო. ყოველ შემთხვევაში გინდათ იყიდეთ, გინდათ ნუ იყიდით—ჩვენ, სოციალ-დემოკრატები არ გავერევით ასეთ საქმეში. მაგრამ თუ კი იყიდით, ჩვენ გირჩევთ უსათუოდ კოლექტიურათ შეიძინოთ, საერთო სამფლობელოთ, მუნიციპალური სოციალიზმის საწარმოებლადო; კერძო საკუთრებათ მიწის შეძენა კი წვრილ ბურჟუაზიული მიმართულება არისო (თუ არ ვსცდები, ბ. ჟორდანიას წვრილ-ბურჟუაზიულის გვერდით „ფეოდალური" ეპიტეტიც კი აქვს ნახმარი—იხ. მისი „რჩეული ნაწერები", წერილი „მიწის საკითხი საქართველოში", ამ ჟამად ხელთ არ გვაქვს).

როგორც ჰხედავთ, სტოლიპინის მძაფრ რეაქციის დროსაც მენშევიკები აჩრიდენ გლეხს მუნიციპალიზაციის პროგრამას, აჩრიდენ არა დეკლარატიულად, არამედ როგორც პრაქტიკულ ზომას.

ყოველ თავის ყრილობაზე, გაზეთში თუ საჯარო გამოსვლებში ქართვ. მენშევიკები იცავდენ ამ პროგრამას.

როცა 1917 წ. რევოლიუციამ იფეთქა, მათ მოიწვიეს (მაისში) გლეხთა საბჭოების (ყოფილა ასეთი საბჭოები!) სიეზდი და დიდი ხმის უმეტესობით მუნიციპალიზაცია გაიყვანეს. კავკასიის ფრონტის ჯარისკაცთა საბჭოების სიეზდზე ისინი ოფლში იწურებოდენ მუნიციპალიზაციის დასაცავად, და თუმცა ვერ გაიყვანეს ის, მარა ბ. ბ. ჩხენკელის, რამიშვილის და მრავალი სხვა მენშევიკის გამოსვლებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს, რომ მათ მუნიციპალიზაცია მიაჩნიათ მიწის საკითხის გადაჭრის ერთად-ერთ, სოციალისტისათვის მისაღებ ფორმად. მაგრამ ყოველივე ეს ქარს გაატანეს, როცა ძალა უფლებას დაეპატრონენ. მუნიციპალიზაციის მაგიერ—მუსავატელების მოწონებული 7 მარტის კანონი შესთავაზეს გლეხობას. ასეთი იყო და არის გლეხობის ნებაო—ირწმუნებოდენ მენშევიკები და ახლაც იფიცება ბ ხომერიკი: ევებ მეორე სიეზდზე გადასწყვიტა გლეხობამ კერძო საკუთრებათ მიწის დარიგება?

არა, გლეხთა სიეზდი კენტად დარჩა, გლეხთა მაგიერ ბ. ხომერიკმა თავისი უწყების ჩინოვნიკები—მიწის მზომლები და სხ. შეკრიბა 1918 წ. და ამ ფრ ად პატივსაცემ კრებულმა დაადგინა: გლეხს მიწა თუ უნდა სრულ საკუთრებად უნდაო. კოლექტივიზმის პროპაგანდის მაგიერ „სოციალისტებმა" კერძო გლეხის ინდივიდუალიზმი დაიხვიეს ხელზე და შეუდგენ ისტორიაში უნახავ აგრარულ რეფორმის „რევოლიუციონური" კანონმდებლობით გატარებას, ე. ი. წვრილ ბურჟუაზიული და ფეოდალური მიმდინარეობას" გაყვენ საბოლოოდ, დაუბრუნებლათ... ბატონებო! ჩვენ ვიცით რომ თავის თავზე მაღლა ვერავინ ახტება, ვერ ახტებით თქვენც, წვრილი ბურჟუაზიული ბუნების მეპატრონე, რაზედაც ჩვენ განუწყვეტლივ მივუთითებდით 1904 წლიდან დაწყებული. იმაზე მეტის, რაც თქვენ „მიეცით" ხალხს უკვე, მიცემა არ შეგიძლიათ. არ არის მაინც და მაინც სასირცხო თავისი ნამდვილი, თუნდა წვრილ ბურჟ. ბუნების გამოაშკარავება, მარა სასირცხოა, როცა თქვენ თქვენი შემოქმედება მიწის რეფორმის საქმეში საისტორიო მარქსისტულ საქმეთ მიგაჩნიათ, „სასირცხოა" და სასაცილოც, როცა კუდ გატრუსული ყვავი ფარშავანგობას ჩემულობს.

ნ. გ.

# ადგილობრივი პრესა

ფედერალისტებიც პოლიტიკური ამინდის მკეთებელთა კუდში მირბიან და—მეც ნახირ-ნახირო,—გაიძახიან. ამ უჯარო ლენერლების თუ უმრევლო ბერ-მონაზვნების ორგანო ასე როკავს ჩვენს წინააღმდეგ:

„დიდი იმედებით გამოვიდენ ჩვენებური კომუნისტები ლეგალურ მუშაობის ასპარეზზე. დიდი იმედების გარდა დიდი თანხაც ახლდათ მათ პარტიულ მუშაობისთვის. ჰფიქრობდენ, სულ მოკლე ხანში მიჰფენდენ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციის ქსელით, რამდენიმე თვეში გააკომუნისტებდენ ჩვენ ქვეყანას და ამ გზით გააკეთებდენ იმას, რისი გაკეთებაც ვერ შესძლეს ამბოხებებითა და აჯანყებით. მაგრამ აქაც კომუნისტებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ—ალბათ თანხაც ილევა ნელ-ნელ და ამ თანხის დალევასთან იმედებიც აღარ არის ყვავილოვანი. ამიტომ „ახალი კომუნისტი" ცუდ გუნებაზეა და ბედმოძვირებულ ქალივით სჩივის თავის უმწეობასა და უხეირობას. მაგრამ სავსებით რომ სასოწარკვეთილების მორევში არ ჩაეფლას, იგი გულს იკეთებს და თავის უბედობას საქართველოში შექმნილ „აუტანელ პირობებს" აბრალებს. სწორედ ისე მოსდის „ახ. კომუნისტს", როგორც ერთ გალახულ ფალავანს დაემართა, მთვარიანი ღამე არ იყოსო. „ახ. კომუნისტი" ეჭვსაც არ იტარებს, რომ ბოლშევიზმს ჩვენში ნიადაგი აქვს".

„თანხა" და ისიც მილიონიანი თანხა რომ გაახსენდეთ, მსუნაგათ აუცმაცუნდებათ ტუჩები „პოსობიებს" და საბანაკო ადგილებს შეჩვეულ მამულიშვილებს. მაგრამ სად ამოიკითხეს „სახალხოს" დაყუდებულმა ბერებმა ჩვენს გაზეთში ჩვენი „ცუდი გუნება, უმწეობა და უხეირობა"? ნუ თუ ჩვენს ცუდ გუნებას მოწმობს „სახალხოს"-ვე მტკიცება, რომ „ახ. კომუნისტი" ეჭვსაც არ იტარებს, რომ ბოლშევიზმს ჩვენში ნიადაგი აქვს".

გაზეთი განაგრძობს:

„ათას კაცისაგან შემდგარი განსაკუთრებული რაზმიო, ბრძნებს კომუნისტი და უნებლიედ დაგვებადა ცნობის მოყვარეობა—რამდენი ათასი კაცი ჰყავს ჩრეზვიჩაიკებს „სოციალისტურ" რუსეთში? ვგონებთ აქ ათასობით თვლა არ გამოდგება და მილიონებამდე უნდა ავიდეს".

ტიბიკონში ვერ ამოიკითხავს „სახალხო", თუ ვის ებ ძვის რუსეთში „ჩრეზვიჩაიკა", მარა ახლო-მახლო მაინც გამოიკითხოს და გაიგებს, რომ დაწესებულების მახვილი მიმართულია მშრომელი ხალხის მოსისხლე მტრების წინააღმდეგ.

„მილიონები იხარჯება უანგარიშოთ! მაგრამ ერთი გვიბრძანონ კომუნისტებმა, რამდენი მილიონები დაიხარჯა აქ-იქ აჯანყების მოსაწყობად და ანგარიშით დაიხარჯა თუ არა? ეს ერთი. მეორე—საბჭოთა მთავრობა რამდენ მილიონებს ჰხარჯავს შპიონებზე და ჩრეზვიჩაიკების აგენტებზე? როცა კომუნისტები ამ ცნობებს მოგვაწვდიან, შეიძლება ჩვენ მაშინ მათთან ერთად გავილაშქროთ „მილიონების უანგარიშო ხარჯვის" წინააღმდეგ".

აკი მოგახსენათ გურიაში აჯანყების შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა, რომ „ჩვენი ცნობებით" გურიაში 12 მილ. დაიხარჯაო, შემდეგ კი, როცა პარტიის ყველა საბუთები და ანგარიშები ჩაუვარდა ადმინისტრაციას, „ერთობის" არქივარიუსის გამოქვეყნებული ცნობით გურიაში გაგზავნილი ყოფილა მხოლოდ... 75 ათასი მანეთი და ისიც არ სჩანდა საბუთებიდან თუ რა მიზნით იყო გაგზავნილი.

რაც შეეხება ჩვენთან „ერთად გალაშქრებას"—ბევრი შავი დღე გვინახავს და ვნახავთ შემდეგში, მაგრამ თქვენმა მწყალობელმა ღმერთმა ნუ მოგვასწროს ისეთ შავ დღეს, რომ ლაშქრობაში ქართველ ფედერალისტების შემოერთება დაგვჭირებოდეს.

* * *

„ერთობა" მოწინავე წერილით უპასუხებს ჩვენი გაზეთის (№ 15) წერილს: „რისთვის გვდევნიან". გაზ. სხვათა შორის სწერს:

„ჩვენ თანახმა ვართ იმისი, რომ კომუნისტების პარტია არ არის ბურჟუაზიის კლასიური ინტერესების გარკვეულად დამცველი პარტია. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჩვენ მას ვთვლით გარკვეულად რეაქციის მატარებელ პარტიად. ჩვენი პარტია და ჩვენი ქვეყნის დემოკრატია დღიდან რევოლიუციის დაწყებისა, მეტადრე დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, დარაჯათ უდგა იმას. რაც დემოკრატიამ მოიპოვა რევოლიუციის გზით. უდიდესი ამ მონაპოვართაგანი, რასაც ჩვენ ვთვლით რევოლიუციის გამარჯვების ერთად-ერთ პირობათ, არის საქართველოს დაცვა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი. ყველა ის პარტიები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს უთხრიან წარმოადგენენ რეაქციონურ ძალას და

გ. ზინოვიევი.

# პარტია და პროფესიონალური კავშირები.

### 7. თანასწორუფლებიანობის თეორია.

(გაგრძელება. იხ. № 16)

მეორე ინტერნაციონალში, მის საუკეთესო ნაწილშიაც კი, ფართოთ იყო გავრცელებული ის აზრი, რომ პარტია—ერთი მხრით, პროფესიონალური კავშირები—მეორე მხრით, წარმოადგენენ თანასწორუფლებიან, ერთი და იგივე ღირებულების ორგანიზაციებს, რომლებიც დიდ კითხვებში გამოდიან როგორც შეთანხმებული მხარეები. პარტიას ეკუთვნის პოლიტიკური, ხოლო პროფესიონალურ კავშირებს ეკონომიური ხელმძღვანელობაო. მაგალითად გერმანიის სოციალ-დემოკრატია ავგუსტ ბებელის თანხმობით იღებდა რეზოლიუციებს იმის შესახებ, რომ თუ კითხვა დადგება საყოველთაო გაფიცვის მოხდენის შესახებ, ის შეუძლებელია გადიჭრას პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა და პროფესიონალურ კავშირთან ცენტრალურ საბჭოს შეუთანხმებლათო.

კომუნიზმის თვალსაზრით ასეთი შეხედულება ყალბია. რევოლიუციონური მარქსისტები მუდამ უარსყოფდენ სწორუფლებობის თეორიას.

რევოლიუციონური მარქსიზმის შეხედულობით პარტია არის უმაღლესი სინტეზი კაპიტალისტური მონობისაგან გასანთავისუფლებლათ წარმოებული მუშათა კლასის ბრძოლის ყველა მხარეების. კომუნისტურ პარტიას გააჩნია მთელი რიგი ბრძოლის საშუალებათა პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის. პოლიტიკურ ბრძოლას ის განუყრელათ უკავშირებს ეკონომიურს, ის აშუქებს და ნიმართულებას აძლევს როგორც ეკონომიურს, ისე პოლიტიკურ ბრძოლას პროლეტარიატისას, ის არის მთელი პროლეტარიატის ავანგარდი. კომუნიზმის ჩირაღდნით აშუქებს ის ძასი გზის ყველა ბნელ ადგილებს. პარტია ტვინია მუშათა კლასის. ამიტომაც კომუნისტების მიერ პროფესიონალურ კავშირებში წარმოებული მუშაობა არის მხოლოთ ნაწილი კომუნისტური პარტიის საერთო მუშაობის.

დიქტატურის ხანაში, რომელსაც ჩვენ დღეს განვიცდით, მით უფრო ზედმეტია ლაპარაკიც „თანასწორუფლებიანობის" თეორიისათვის რაიმე დათმობაზე. თავის მოქმედების ხაზის სულ უმნიშვნელო გახრასაც კი ამ მხრივ პარტიამ უსასტიკესი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს.

### 8. პროფესიონალური კავშირების უპარტიობის შესახებ.

თანამედროვე პროფესიონალური კავშირები არ ექვემდებარებიან ფორმალურათ კომუნისტურ პარტიას. პროფესიონალურ კავშირებში მიიღებიან ყველა მუშები განურჩევლათ სქესისა, პარტიისა და სარწმუნებისა. უპარტიო მუშებს სრულათ თავისუფლათ შეუძლიათ შემოსვლა ჩვენ პროფესიონალურ კავშირში. მარა ამავე დროს, პროფესიონალურ კავშირებში მომუშავე კომუნისტებმა არამც და არამც არ უნდა დაათარონ ხელი ამ უპარტიობის კონსერვატიულ მხარეებს. კომუნისტებმა და პროფესიონალური კავშირების კომუნისტურმა ფრაქციებმა აშკარათ უნდა იქადაგონ კომუნიზმი. პროფესიონალური კავშირები საერთოთ უნდა უყურებდენ თავის თავს, როგორც კომუნიზმის სკოლებს. პროფესიონალური კავშირების ხელმძღვანელები დაუღალავათ უნდა უთითებდენ მუშებს იმაზე, რომ კომუნიზმის მტრები სპეკულიაციას ეწევიან უპარტიობით და ატყუებენ მუშებს, ისინი უნდა უხსნიდნენ მათ, თუ რატომ უჭერენ მხარს კომუნისტურ პარტიას ფორმალურათ უპარტიო პროფესიონალური კავშირები, რატომ სცნობენ ისინი პროლეტარიატის დიქტატურას, საბჭოთა ძალა-უფლებას და მსოფლიო რევოლიუციას.

კომუნისტური პარტია პოულობს გავლენას პროფესიონალურ კავშირებში მხოლოთ და განსაკუთრებით იმიტომ, რომ ის მონაწილეობას იღებს კავშირის ყოველდღიურ პრაქტიკულ თავგანწირულ მუშაობაში, აყენებს კავშირის ყველა პოსტებზე თავის ყველაზე უფრო ბრძოლაში გამობრძმედით ერთგულ წევრებს. მხოლოთ ასეთი, რამდენიმე წლობით პრაქტიკული მუშაობით მოპოვებული გავლენა შეიძლება იყოს მაგარი.

### 9. პროფესიონალური კავშირების ფრაქციები და პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციები.

ყოველ პროფესიონალურ კავშირში უნდა არსებობდეს მჭიდროთ შეკავშირებული და დისციპლინით გამსჭვალული კომუნისტური ფრაქცია. ეკონომიური პოლიტიკის ყველა კითხვებში კომუნისტების ადგილობრივი ფრაქციები უსიტყოთ უნდა ატარებდენ ცენტრალური ფრაქციის და პროფესიონალური კავშირების სრულიად რუსეთის საბჭოს გადაწყვეტილებებს. ეგრედ წოდებული ლოკალიზმის მიმართ მცირეოდენ დათმობასაც კი არ უნდა ჰქონდეს ადგილი. სატარიფო პოლიტიკა, საკითხი სამუშაო დღის შესახებ, სასურსათო პოლიტიკა და სხვ. მუშავდება უეჭველად სრულიათ რუსეთის მასშტაბში.

მასთან ერთად პროფესიონალური კავშირის ყოველი პარტიული ფრაქცია არის მხოლოდ ადგილობრივი ორგანიზაციის იაჩეიკა. ადგილობრივი პროფესიონალური კავშირების მთელი ქალაქის ფრაქცია სრულიად ექვემდებარება პარტიის ადგილობრივ კომიტეტს, ხოლო ამავე კავშირების სრულიად რუსეთის ფრაქცია კი ემორჩილება პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

მუშების განაწილება, მათი მობილიზაცია წითელ არმიის საჭიროებათათვის თითოეულ ქალაქში დავალებული აქვს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციას პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო ხელმძღვანელობით. პროფესიონალური მოძრაობის მუშაკთა მობილიზაციის დროს, პარტიული კომიტეტი უნდა შეუთანხმდეს ამა თუ იმ კავშირის პროფესიონალურ სექციას, მარა გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის მხოლოდ პარტიულ ორგანიზაციას.

ხელმძღვანელობს რა სრულიათ პარტიული კომიტეტი პროფესიონალურ კავშირებში მუშაობას, ის არასოდეს არ ერევა ამ კავშირების წვრილმან საქმეებში. მათი ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობის მეთაურობას იგი თვითეული კავშირის ფრაქციას ანდობს.

### 10. სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის და ნახევრათ პროლეტარიატის შეკავშირება

თანამედროვე პროფესიონალური მოძრაობის ერთ უმნიშვნელოვანეს მოვალეობას რუსეთში წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო მუშების შეკავშირება. აწ უკვე არსებული სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის კავშირი უნდა გავამაგროთ მთელი ჩვენი ძალ-ღონით. პროფესიონალურ მოძრაობაში მომუშავე კომუნისტებმა უნდა დაისახონ თავის განსაკუთრებულ მიზნათ სასოფლო სამეურნეო მუშების შეკავშირება. ამ საქმისათვის უნდა გადაიდვას საჭირო ძალა.

### 11. ქარხნის კომიტეტები და პროფესიონალური კავშირები

უკანასკნელ წლებში ქარხნის კომიტეტებმა დიდი ევოლიუცია განიცადეს. საყოველთაოდ ცნობილია მათი როლი თებერვლის რევოლიუციამდი, როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ორგანიზაციული პუნქტების. თებერვლისა და ოქტომბრის რევოლიუციების შუა ხანაში ისინი ასრულებდენ როლს იმ პირველ მუშათა იაჩეიკებისას, რომლებიც პრაქტიკულათ შეუდგენ წარმოებაზე კონტროლის დაწესებას. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ისინი გამოდგენ დაწყებითი საორგანიზაციო ბაზათ მრეწველობის ნაციონალიზაციის გატარების საქმეში. მათი წრიდან გამოვიდა მთელი წყება იმ საუკეთესო მუშების, რომლებიც შევიდნენ დ განსახელმწიფოებრივებული წარმოების გამგეობაში, ჩვენ მთავარ კომიტეტებსა და ცენტრებში. როდესაც ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების სრულიად რუსეთის კავშირი გააუქმეს, ამ კომიტეტების როლი სრულიად შეიცვალა. ქარხნის კომიტეტები პროფესიონალური კავშირების იაჩეიკებათ გახდენ და ასეთებადვე დარჩენ დღემდე.

საქარხნო კომიტეტებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა წარმოების მოწყობაში იმდენათ და იმ ფორმით, რამდენათაც ამას აკეთებენ პროფესიონალური კავშირები.

საქარხნო კომიტეტებს აქვსთ კიდევ სხვა დიდი მნიშვნელობა. ჩვენ პარტიას ყველაზე უფრო დიდ ზიანს ის აყენებს, რომ მას კიდევ არ მოეპოვება ისეთი ორგანიზაციული აპარატი, რომელსაც მექანიკურათ გამოჰყავდეს მასიური წევრების რიგებიდან ახალი მუშაკნი და აწინაურებდეს მათ უფრო საპასუხისმგებლო საქმის ჩაბარებით. პარტიის ცენტრალური კომიტეტი ანაწილებს მთელ რუსეთში მხოლოთ დაახლოვებით ათას წევრს.

მხოლოთ დღეს, როდესაც მეურნეობის დაშლის წინააღმდეგ ბრძოლა პარტიის უმთავრეს საგნათ შეიქნა, საჭიროა რომ პარტიის უბრალო წევრების წრეებიდან იყოს დაწინაურებული დიდი რიცხვი შემოქმედი და ორგანიზატორული ელემენტებისა. ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტი არის ის იაჩეიკა, რომელიც კოლექტივთან ერთათ ყველაზე უფრო კარგათ შეიქნებოდა იმ აპარატათ, რომელიც შესძლებდა გამოერჩია ფაბრიკებიდან დ ქარხნებიდან ათასობით მუშები და დაეყენებია ისინი სამეურნეო ორგანიზატორულ საქმეზე.

ყველა ამის გამო პარტია გადაჭრით იცავს ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტების შენარჩუნებას ისე კი, რომ მათი ფუნქციები კიდევ უფრო გარკვევით იყოს განსაზღვრული განსაკუთრებული დეკრეტის საშვალებით. როდესაც დაიწყება ერთპიროვნული გამგებლობის თანდათანი შემოღება წარმოებაში, ეს გარემოება არამც თუ ზედმეტ ბარგად გახდის ქარხნის კომიტეტებს, არამედ, პირიქით, სწორეთ ეს უცილებელი რეფორმა აშკარათ გახდის მათი შენარჩუნების საჭიროებას.

საჭიროა მხოლოთ, რომ პარტიამ მიაქციოს ყურადღება ქარხნის კომიტეტებს. უკანასკნელ წელიწადში იქ სრულიათ არ ყოფილა პარტიული მუშაობა.

გარდა ამისა საჭიროა, რომ პროფესიონალური კავშირები არა მარტო ფორმალურათ უნდა თვლიდენ ქარხნის კომიტეტებს თავის იაჩეიკებათ, არამედ ისინი ორგანიულათ თვით შეეზარდონ მათ, ადევნონ თვალყური მათ რეგულიარულ გადახალისებას და მთელ მათ მუშაობას.

(დასასრული იქნება შემდეგ №-ში).

ჩვენი დემოკრატია გაafთრებით იბრძვის მათთან".

ვერ გაგვიგია, რას სთვლის გაზეთი რევოლიუციის უდიდეს მონაპოვრათ: დამოუკიდებლობას თუ ამ დამოუკიდებლობის დაცვას? ამასთანავე „ერთობა" უკიდურესი რევოლიუციონერობის დიპლომს აძლევს ყველა ნაციონალისტებს, ვინაიდან მათზე უფრო თავგამოდებით ვინ იცავს—სიტყვით მაინც—საქართველოს დამოუკიდებლობას, ვინ იცავს და ვინ იცავდა მაშინაც კი, როდესაც ერთობისტები სწორედ ასეთი დამოუკიდებლობის მომხრეებს სთვლიდა რეაქციონერებად?

„კომუნისტი" გვიკიჟინებს: ბალშევიკების პარტია ერთად-ერთი პარტიაა, რომლის წინააღმდეგაც საქართველოში დევნაა აღმართული. ეს მტკნარი ტყუილია. ორი წლის განმავლობაში საქართველო არა ნაკლების გააფთრებით ებრძოდა დენიკინელებს"...

„ერთობას" მიუთითებენ საქართველოში მომქმედ პარტიებზე, ის კი თითეულ დენიკინელებზე მიგვითითებს. და ესეც რომ არ იყოს, ნეტა ვიცოდეთ ვინ გაუშო ბალშევიკების გადარაზული ბიურო განოვის ქუჩაზე დენიკინის მოადგილე გენერალ ლიახოვს, რომელმაც იქ დენიკინელთა რაზმების შედგენა გააჩაღა და შემდეგ მათი კავკავში გადაგზავნა? ვინ მიიღო ხელგაშლით და მეფურად გენ. ბარათოვი მისი ამალით? ან რიცამ ჩაყლაპა საქართველოში გადმოხვეწილი დენიკინის მრავალი გენერლები და აფიცრები? რატომ ციხეში თუ არა, კონცენტრაციულ ბანაკში არ ვხედავთ მათ, კომუნისტებს კი შიმშილობაც კი არ უღებს ციხეების კარებს?

„მაგრამ კომუნისტური პარტია ხომ პროლეტარიატის პარტიაა? გვიკიჟინებს „კომუნისტი". მაშასადამე, „ჩვენ გვდევნის საქართველოს მთავრობა, როგორც პროლეტარიატის პარტიას". საქმე სწორედ იმაში გახლავთ, რომ საქართველოში კომუნისტური პარტია ყველაზე ნაკლებ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს პროლეტარიატის პარტიათ. მთელის ჩვენის პასუხისმგებლობის ქვეშ გადაჭრით ვაცხადებთ: კომუნისტურ პარტიაში ძლიან მცირე ნაწილს შეადგენენ საქართველოს მოქალაქე—მუშები. ამ პარტიის თანამგრძნობთა უმეტესობა არა ქართველები და უცხო სახელმწიფოთა მოქალაქენია. ეს პარტია ეყრდნობა უმთავრესად წვრილ რუს-ჩინოვნიკობას და რუს-ოფიცრობას, რომლებიც რევოლიუციამ და მით გამოწვეულმა სახელმწიფო დაწესებულებათა ნაციონალიზაციამ უადგილოთ დასტოვა. მაშასადამე ჩვენებური კომუნისტები ძველი ბიუროკრატიის თანაგრძნობით არიან ძლიერნი.

ერთი სინჯეთ ბატონებო, თუ მისხალი მაინც პასუხისმგებლობა ან სინიდისი მაინც შეგრჩენიათ და დაგვიმტკიცეთ, რომ ბიუროკრატები და „რუსი აფიცრები" შეადგენენ ჩვენი პარტიის სულ მცირე ნაწილს მაინც, გამოაქვეყნეთ, ვინ და რამდენი ბიუროკრატი და დენიკინელია საქართველოს ციხეებში დაპატიმრებულ ბალშევიკთა შორის? ეს ხომ სულ იოლი საქმეა. დაამუშავებიეთ აგრეთვე თქვენს პასპორტისტებს და არქივარიუსებს ის მდიდარი მასალა, რომელიც ხელთ იგდო თქვენმა პოლიციამ ჩვენი ბიუროების დარბევის დროს, სარეგისტრაციო ბარათების წაღებით და გააგებიეთ ქვეყანას ჩვენი პარტიის შემადგენლობა. სინჯეთ ბატონებო, პასუხისმგებლობაზე მოუბარნო!

და სანამ ეს არ შეგისრულებიათ, სანამ მარტოოდენ ტყუილით და ცინიკური ცილის წამებით კვებავთ თქვენს მრევლს, განა ნება არ გვაქვს დაბეჯითებით ვთქვათ და გავიმეოროთ, რომ ჩვენ გვებრძვის საქართველოში გაერთიანებული რეაქციონერთა ბლოკი ქართველ მენშევიკების მეთაურობით, გვებრძვის გააფთრებით ის ყოფილი სოციალისტური პარტია, რომელიც დღეს ისე დაცემულმა, რომ „არა ქართველების" და „უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეთა" სახელის გაგონებაზე ცახცახი მოსდის და კბილების ღრჭენა.

# ბიულეტენი პრესბიუროსი

**რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.**

## საბჭოთა რუსეთში

**ვ ი ლ ნ ო.**

პოლონელებისაგან დატოვებულ ვილნოში აღმოჩენილ იქნა ბევრი ნედლი მასალა, რომელიც ეყოფა ნახევარ წელიწადს. მანქანების ნაწილი, რომელიც გაიტაცეს პოლონელებმა ჩვენმა ჯარებმა ისევ დაატოვებინა ქ. ბელონში.

**ნ ა ხ შ ი რ ი.**

**მოსკოვი**, 12 აგვისტო. დონის ქვანახშირის მაღაროებიდან კურსკში მოიტანეს 35 ვაგონი ანტრაციტით დატვირთული საბჭოების ადგილობრივ წარმოებისათვის.

## საბჭოთა ადერბეიჯანში.

**მედიკამენტები.**

**ბაქო**, 13 აგვისტო. საფრანგეთის ვაჭრები თავისი წარმომადგენლის საშუალებით ატყობინებენ ადერბეიჯანის საბჭოთა მთავრობას, რომ ისინი მზათ არიან გაგზავნონ ბაქოში ბათომიდან მედიკამენტები ნოხებზე და „კარაკულებზე" გასაცვლელათ.

## საზღვარ-გარეთ

**ამერიკა.**

**ლიონი**, 10 აგვისტო. ამერიკის პრეზიდენტი ვილსონი იწვევს სასწრაფოთ კონგრესის სესიას მისგან დირექტივების მისაღებათ იმ შემთხვევაში თუ რუსეთთან ომი გამოცხადდა.

**ნოტა მოკავშირეებისადმი.**

**ლიონი**, 10 აგვ. ამერიკის მთავრობამ ნოტა გაუგზავნა ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობებს. ამ ნოტაში გამოხატულია ამერიკის მთავრობის თვალსაზრისი პოლონეთის კითხვის შესახებ, და აგრეთვე პოლონეთის დასახმარებელი გეგმები.

**რუმინიის ნეიტრალიტეტი.**

**ნიკოლაევი**, 9 აგვის. რუმინიის პრემიერ-მინისტრი ავერესკო აცხადებს დეპუტატთა პალატში, რომ რუსეთ-პოლონეთის ომში რუმინია იცავს სრულ ნეიტრალიტეტს. რუმინიის მთავრობას არ მიუცია ნება უცხო დამხმარე ჯარების რუმინიის ტერიტორიაზე გადასავლელად.

**მოწოდება დემოკრატიის მიმართ**

**რეველი**, 7 აგვისტო. ინგლისის მუშათა პარტიამ დაუგზავნა თავის განყოფილებებს გენდერსონის ხელმოწერილი დეპეშა, სადაც მოუწოდებენ მუშებს დემონსტრაციისაკენ რუსეთ-პოლონეთის ომში ჩარევის დ პოლონეთისთვის ტანთსაცმელის გაგზავნის წინააღმდეგ. წამოყენებულია მოთხოვნილება, რომ დაუყოვნებლივ შეიკრას ზავი, მოიხსნას ბლოკადა და აღდგენილ იქნას სავაჭრო დამოკიდებულება რუსეთთან.

# უკანასკნელი ცნობები

**მოკავშირეთა ზომები საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.**

**ლიონი**, 10 აგვისტო. „პტი პარიზიენი" გვამცნობს, რომ 10 აგვისტოს ქ. მინსკში უნდა მომხდარიყო პირველი შეხვედრა რუსეთ-პოლონეთის საზავო დელეგაციების და შემდეგ ამბობს: „თუ ბალშევიკების წარმომადგენლები წარუდგენენ პოლონელებს მისაღებ პირობებს, იმ შემთხვევაში მოკავშირენი არ შეცვლიან ბალშევიკების შესახებ თავის წინანდელ გადაწყვეტილებებს. თუ მოლაპარაკებამ ვერ მოიტანა სასურველი შედეგები, იმ შემთხვევაში მოკავშირენი ენერგიულ ზომებს მიიღებენ ბალშევიკების საწინააღმდეგოთ.

ბრიტანიის ფლოტი საფრანგეთის წყალ-ქვეშა ნავების დახმარებით განაახლებს რუსეთის ბლოკადას. რუსეთის მეზობელ სახელმწიფოებს: შვეციას, ნორვეგიას და დანიას წინადადება მიეცემა შესწყვიტოს რუსეთთან საქონლის გაცვლა. მოკავშირენი გერმანიას მიმართავენ თხოვნით ხელი შეუწყოს რუსეთის იზოლიაციას (განმარტოებას). წინადადება მიეცემა ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოებს მონაწილეობა მიიღონ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. გენერალ ვრანგელს საფრანგეთის გარდა დაეხმარება აგრეთვე ინგლისიც. პოლონეთს აღმოუჩენენ ყოველგვარ დახმარებას. თუ რომ ვარშავა—დანციგის რკინის გზა იქნა მოჭრილი, იმ შემთხვევაში პოლონეთს გაუწევენ დახმარებას ჩეხო-სლოვაკიიდან. თუ საბჭოთა მთავრობა გაჯიუტდა, იმ შემთხვევაში კამენევს და კრასინს წინადადება მიეცემათ დასტოვონ ლონდონი.

**სამხედრო ოპერატიული რადიო-ცნობა.**

**11 აგვისტოს სამხედრო ცნობები.**

**მოსკოვი, 12 აგვისტო.**

**პლოცკის მიმართულებით** სწარმოებს ბრძოლები ქალ. მლავის დასაკავებლათ 9 აგვისტოს ჩვენ დავიკავეთ ქალაქებიცეხანოვი და მაკოვი. სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენ მივაღწიეთ მდ. ორჟიცს.

**მდ. ნარევისა და ბუგის** შორის ჩვენ ვავიწროვებთ მტერს დასავლეთისკენ. სამხრეთით ჩვენ ვაწარმოებთ შეტევას მდ. ლივეცისაკენ.

10 აგვისტოს ჩვენ დავიკავეთ რადიმინი. (დაახლოვებით ვარშავაზე ოციოცდა ხუთი ვერსზე) მკაცრი ბრძოლების შემდეგ ჩვენ დავიკავეთ ქალ. ვლოდავა.

**ვლადიმირ-ვოლინის** რაიონში ქალ. ვლადიმირ-ვოლინსკის დაკავების შემდეგ განვაგრძობთ შეტევას.

**ბროდის რაიონში** ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა რადზივილის რაიონში დაამარცხა მტერი, ხელთ იგდო ზარბაზნები.

**ტარნოპოლის და ბუჩაჩის რაიონში** ჩვენი ჯარი განაგრძობს შეტევას და მტრის შევიწროებას, ხელთ ვიგდეთ ტყვეები, ზარბაზნები და ტყვიის-მფრქვევლები.

**დნესტრის რაიონში** და შავი ზღვის ნაპირებზე მდგომარეობა უცვლელია.

**ყირიმის ფრონტი.**

ყირიმის ფრონტზე დნეპრის მარცხენა მხარეზე ჩვენმა ჯარებმა გადალახეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს პუნქტების მთელი რიგი. წამოვიყვანეთ ტყვეები.

# ახალი ამბები

**შეცდომის გასწორება.** გუშინ ჩვენს გაზეთში მოთავსებული ცნობა კომუნისტერი ახალგაზრდობის ბიუროს დახურვის შესახებ სიმართლე არ გამოდგა და რედაქცია შეცდომაში იქნა შეყვანილი. ნამდვილათ კი მისულა ბიუროში ერთი მილიციონერი და უკითხავს ვინ დგას ამ სახლშიო (ბიუროში). პასუხის მიღების შემდეგ წასულა.

— **რკინის გზის ტარიფი.** გზათა უწყების დეპარტამენტი რკინის გზის ტარიფის გადიდების შესახებ შემდეგ განმარტებას იძლევა: რკინის გზის ტარიფის გადიდება 1917-დან ეს მეორეჯერ არის რომ ხდება. წინად გაძვირდა სამგზავრო ბილეთი 60 პროც. და საქონლის გადატანა ასი პროც. ახლა რკინის გზის ტარიფი ასე უნდა გადიდდეს: ამჟამად მე-3 კლასის რკინის გზის ბილეთი თბილისიდან ბათომამდინ ღირს 258 მ. განზრახულ გადიდებულ ტარიფით ეღირება 430 მანეთი. ფუთი ბარგის გადატანა თბილისიდან ბათომამდი 112 მან. და 50 კ. ნაცვლად ახლანდელი 75 მანფუთი ფქვილის გადატანა ნაცვლათ ახლანდელი 10 მან. 30 კაპ. 18 მან 54 კ.

— **ფოსტით მატყლის გადაზიდვის აკრძალვა.** მომარაგების სამინისტრომ ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს აცნობა, რომ უნებართოთ მატყლის ფოსტით გადაზიდვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე აკრძალულიაო.

— **საქართველოს მუშათა დელეგაცია.** საგარეო საქმეთა მინისტრმა ეგ. გეგეჭკორმა აცნობა ცენტრალურ პროფესიონალურ კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტს, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობა არაა წინააღმდეგი მუშათა დელეგაციის რუსეთში გამგზავრებისა. საბჭოთა რუსეთს თავის მხრივ განზრახვა ქონია ანალოგიური მიზნით გასოგზავნოს საქართველოში რუსეთის მუშათა დელეგაცია.

— **საქართველოდან გასვლისა და რუსეთიდან შემოსვლის პირობები.** საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა და რუსეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა შეიმუშავეს დროებითი წესები ლტოლვილების, შიკრიკების და წარმომადგენელთა რუსეთში გასვლისა და საქართველოში შემოსვლის ნებართვის მიცემის შესახებ. ამ წესების მიხედვით, რუსეთის ყოველ მოქალაქეს, რომელსაც სურს საქართველოსკენ წამოსვლა და საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც სურს რუსეთში გასვლა, უფლება აქვს დაუბრკოლებრივ უკან დაკრუნებისა. ამისათვის საჭიროა ამ პირთ სათანადო მოწმებები ქონდეთ. აკრძალული იქნება იმ პირთა გაშვება, რომელთა შესახებაც იმ სახელმწიფოს სასამართლო ან ადმინისტრაცია ახდენს გამოძიებას, რომელ სახელმწიფოშიც მათ შესვლა სურთ. ლტოლვილთ უფლება აქვთ საქართველოსა და რუსეთში შესვლისა მხოლოდ განსაკუთრებულ ნებართვით, რომელსაც ორივე მხარე ურთიერთ შეთანხმებით მისცემს. თანამდებობის პირთ გაუშვებენ ამა თუ იმ რესპუბლიკის მთავრობის ნებართვით და შიკრიკებს კი სათანადო პიროვნულ მოწმობების წარმომადგენის შემდეგ.

— **დამფუძ. კრებაში.** დამფუძნებელ კრების პლენუმში შეიტანეს შემდეგი კანონ-პროექტები: 1) ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობისათვის 3-ნახევარ პროც. სესხის 5 წლის ვადით მიცემის შესახებ, 2) ორი მილიონი მანეთის გადადების შესახებ აზერბაიჯანში წასვლელ მუშათა დელეგაციის საჭიროებისათვის. 3) მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ე. პ. გეგეჭკორის უცხოეთში გასაგზავნად საჭირო თანხის გადადების შესახებ, 4) თბილისის ქალაქის თვითმმართველობისათვის სასურსათო ოპერაციების გასაფართოებლად 40 მილიონ მანეთი 4 წლის ვადით სესხად მიცემის შესახებ. (დ. ს.).

— **ეპიდემიურ ავადმყოფობის საწინააღმდეგო ზომები.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ დამფუძნებელ კრებაში შეიტანა პროექტი მფარულ სენის გავრცელების წინააღმდეგ საჭირო თანხის გადადების შესახებ, პროექტში აღნიშნულია, რომ სტამბოლსა და ყირიმში ხოლერით ავად გახდომის შემთხვევებია; საშიშარია, რომ იგი საქართველოში გავრცელდეს, ამ მხრივ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ტფილისსა და ბათომს. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული ჯანმრთელობის უწყება ამ მიზნისთვის 20 მილიონ მანეთის გადადებას თხოულობს. (დ. ს.

— **ფოთის ნავთსადგურის მდგომარეობა.** გზათა მიმოსვლის დეპარტამენტი განსაკუთრებულ ბარათში, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარუდგინა, ფოთის ნავთსადგურის მდგომარეობას ახასიათებს თავის მოხსენებაში. გზათა მიმოსვლის დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლის განმავლობაში ნავთსადგურში ტეხნიკური ხასიათის მუშაობა წარმოებდა, და ამიტომ ნათსადგური თანდათან ნორმალურ სახეს იღებსო. ნავთსადგურს კვლავ ელექტრონით ანათებენ, დაიწყო ნავთსადგურის გაღრმავება და სხვ. საერთოდ ნავთსადგურის მდგომარეობა წელს უფრო დამაკმაყოფილებელია, ვიდრე შარშან, სხვათა შორის, გზათა დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ იგი ნავთსადგურის გასაუმჯობესებლად წარმოებულ მუშაობაში განსაზღვრულ გეგმით ხელმძღვანელობს და ნავთსადგურის სამმართველო ხელმძღვანელობს არსებულ საზღვაო კანონებით. ნავთსადგურის სამმართველომ მუშაობის და მიხედვით მოსამსახურეთა სათანადო შტატი შეიმუშავა. ნავთსადგურის სამმართველომ სამხედრო ფლოტილია გამოყო, გარდა ამისა საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოებას საექსპლოატაციოდ გადასცა რამდენიმე გემი და სხვ. ამ რიგად ნავთსადგურის გასაუმჯობესებლად ყოველგვარი ზომებია მიღებულიო.

— **მცხოვრებთათვის სურსათის მოწოდება.** მომარაგების სამინისტროს ცნობით ტრაპეზუნდიდან ბათომისაკენ გამოსულა გემი, რომელსაც თან მოაქვს მომარაგების სამინისტროს საქონელი. მოელიან სხვა გემებსაც, რომელმაც უნდა მოიტანოს 400.000 აღლი მანუფაქტურა, 36.000 ფუთი ტყავი, ჭურჭეულობა, სხვა და სხვა ღირსების ქაღალდი. მინა, 20.000 ჭიქა და სხვ.

# დეპეშები

**მოსკოვი. აგვისტოს 12. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.**

**სამხედრო ცნობა.** აგვისტოს 12. აგვისტოს 10 ჩვენ დავიკავეთ მლავა და სედლეცი. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და ნადავლი. ჩვენ დავიკავეთ პულტუსკი და ლუკოვის აღმოსავლეთით 12 ვერსზე მდებარე ადგილები. ხოლმის რაიონში ჩვენმა ჯარმა მდ. ბუგი გადალახა და ვლოდავო-ხოლმის შარაგზაზე გამოვიდა. ვლადიმირო-ვოლინის მიმართულებით ჩვენ გრუბეშოვი და დაბა კრილოვი ავიღეთ. დნესტრზე და შავი ზღვის ნაპირებზე მდგომარეობა უცვლელია.

**გ ლ ე ხ თ ა კ ვ ი რ ა.**

მოსკოვის, ტამბოვის და ვიტებსკის გუბ. და მაზრებში გლეხთა კვირაა. გაიხსნა სადურგლოები, ფეხსაცმლის სახელოსნოები და სხვა. გლეხებს დახმარებას უწევენ ყანების დამუშავებასა და სასოფლო სამეურნეო მოწყობილობათა შეკეთებაში.

**საქონლის გაცვლა-გამოცვლა იტალიასთან.**

**ოდესა**, აგვისტოს 9. ოდესის ნავთსადგურიდან ხორბლით სავსე გემი წავიდა იტალიაში. ამ გემით მოვიდენ რუსი სამხედრო ტყვეები. პური მიეცათ იტალიელებს წამლეულობის სამაგიეროთ. გემი დატვირთეს 250,000 ფუთი ხორბლით. მოკლე ხანში ადესაში იტალიიდან მოვა დიდი ტრანსპორტი სასოფლო-სამეურნეო მანქანებითა და მოწყობილებით. იტალიელები ზეიმით გააცილეს.

**ინგლისის მუშების დახმარება.**

**ნაუენი**, აგვისტოს 10. გაზეთი „ფორვერტსი" იუწყება: ლონდონის ნავთსადგურის მუშებმა, გადასწყვიტეს დააკავონ ლონდონში ყველა სამხედრო მასალა, თუ ინგლისი ჩაერევა რუსეთის საქმეებშიო.

**დანციგის ქალაქის თავის გალახვა.**

**რეველი**, აგვისტოს 9. დანციგის ქალაქის მოურავი ხალხმა ეროვნულ კრების შენობიდან გამოათრია და სასტიკად სცემა. მოკავშირეთა უმაღლესმა კომისარმა მოკავშირეთა ჯარის სარდალს დაავალა წესრიგის აღდგენა. დანციგის გაზეთები იუწყებიან, რომ მოსული ჯარისკაცები უმეტეს ნაწილად იუნკერებისა და ოფიცრებისაგან შესდგებიან.

**სამხედრო მასალა პოლონეთისათვის.**

**რეველი**, აგვისტოს 8. გაზეთების ცნობით დანციგში მოელიან გემებს ამუნიციითა და სამხედრო მასალით. თუ ნავთსადგურის მუშებმა უარი განაცხადეს გემების დაცლაზე, მოკავშირეთა უმაღლესი კომისარი თავისი ძალებით დაიწყებს გემების დაცლას.

**წითელ-არმიელების ყანების მოწევა.**

**ვიტებსკი**, აგვისტოს 7. სენოვსკის მაზრაში წითელ არმიელთა ყანები ადგილობრივმა გლეხებმა მოიწიეს. მოიწევენ აგრეთვე გაზაფხულზე ნათეს ყანებსაც.

**სამუშაო დღის 2 საათით გადიდება.**

**ცარიცინი**, აგვისტოს 3. ღუბოვკაში პროფ. კავშირებმა საბჭოთა მოსამსახურეებმა და ტრანსპორტის მუშებმა ცხოვრებაში გაატარეს სამუშაო დღის 2 საათით გადიდება.

# ინტერვიუ ჩიჩერინთან

„პტი პარიზიენს" მოჰყავს საფრანგეთის ჟურნალისტის შარლ პტის ინტერვიუ საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარ ჩიჩერინთან.

საფრანგეთის შესახებ ჩიჩერინმა შემდეგი სთქვა: „რაც შეეხება საფრანგეთს-უნდა აღვნიშნო, რომ მას ჩვენთან წარმომადგენელი არა ჰყავს, რომ ის ძლიერ მტრულ განწყობილებაშია ჩვენთან. საფრანგეთმა შეაიარაღა ჩვენ წინააღმდეგ კოლჩაკი, დენიკინი, იუდენიჩი და ამ უკანასკნელ დროს მისი კარნახით და დახმარებით აამხედრა პოლონეთი.

გვითხარით, რითაა გამოწვეული ყველა ეს? ამ კითხვაზე შარლ პტი მიუთითებს ჩიჩერინს ბრესტის ხელშეკრულე-

ბაზე, რომელმაც საშუალება მისცა გერმანიას, მთელი თავისი ძალებით თავს დასხმოდა საფრანგეთს.

„ბრესტის ხელშეკრულება—უპასუხებს ჩიჩერინი—არის ლენინის გენიალური მოქმედება. ჩვენ, სხვები წინააღმდეგი ვიყავით ბრესტის ხელშეკრულების, — ჩვენში გაიღვიძა ეროვნულმა გრძნობამ და თავმოყვარეობამ, მაგრამ ლენინმა გაიმარჯვა: უწინარეს ყოვლისა ზავიო, ამბობდა ის, რომ ქვეყანა გადავარჩინოთ განადგურებას, რომ შესწყდეს სისხლის ჩანჩქერიო: ზავის პირობებზე რასაც კი გერმანელები მოითხოვენ, ხელი მოვაწეროთ დამშვიდებით, და იმ იმედით, რომ პირობები მალე ჩვენს სასარგებლოთ შეიცვლებაო. მართლაც მალე გერმანია დამარცხდა. ის ეხლა არ არის საშიში და ჩვენ შეგვიძლია დამშვიდებით ვიმოქმედოთ. მე შემიძლია ამაყათ ვსთქვა, რომ ლენინი მართალი იყო, რომ ის მოქმედებდა რუსეთის საკეთილდღეოთ. საფრანგეთი არ დაზარალებულა ბრესტის ხელშეკრულებით. გერმანია იძულებული იყო ჯარების უმეტესი ნაწილი დაეტოვებია უკრაინაში სადაც ჩვენ ყოველთვის ვაწყობდით აჯანყებებს გერმანიის წინააღმდეგ. ის იძულებული იყო ჯარები ყოლოდა აგრეთვე ბალტიის მხარეში. გერმანიას არ სჯეროდა ჩვენი და ჩვენც გადაწყვეტილი გვქონდა არ შეგვესრულებია ზავის პირობები.

გარდა ამისა ჩვენმა აგიტაციამ გახრწნა გერმანიის ჯარი და მას საშუალება მოესპო საფრანგეთის ფრონტზე დიდძალი ჯარი გამოეგზავნა."

შარლ პტის შეკითხვაზე—თუ როგორ უყურებს ის საფრანგეთის სოციალისტებს—ჩიჩერინმა უპასუხა: „ჩვენ არ გვწამს მე-2 ინტერნაციონალის იდეა. თქვენი ვითომდა სოციალისტები მხარს უჭერენ ბალშევიზმს, რომ ამით მოატყუილონ ხალხი. ჩვენ ვრ შნგვიძლია საფრანგეთის „სოციალისტები" ვიცნოთ. ჩვენი დამოკიდებულება მათთან უარყოფითია. ჩვენ გვწამს მხოლოდ მე-3 ინტერნაციონალის პრინციპებზე მდგომი სოციალისტები, როგორც მაგალითათ, ლორიო ან ვალიან კუტიურე. ვალიან კუტიურე გვწამს ჩვენ იმდენათ, რამდენათ ის თავის მანდატს გამოიყენებს პარლამენტის საბოტაჟისათვის (ხელის შესაშლელათ). სხვა ყველა დანარჩენი სოციალისტები დაწყებული ლონგედან—გათავებული ალბერტ ტომათი ჩვენთვის მიუღებელია".

შემდეგ ჩიჩერინი შეეხო რუსეთის ვალდებულებებს და სთქვა: „პრინციპში ჩვენ უარვყოფთ იმ ვალების გადახდას, რომელიც მეფის მთავრობის გასაძლიერებლათ იყო ნასესხები. მაგრამ თუ საფრანგეთი შესცვლის თავის მტრულ დამოკიდებულებას ჩვენდამი, და დევნის მაგიერ ხელს შეგვიწყობს, იმ შემთხვევაში შეგვეძლო დაგვეწყო ვალების შესახებ მოლაპარაკება. ამ შემთხვევაში ჩვენ ყოველი გარანტია უნდა გვექნეს იმისი, რომ საფრანგეთი ჩვენს პირობებსაც უკლებლათ შეასრულებს.

# წერილი ციხიდან.

## შიმშილობის შედეგები.

(ბ. გეგელაშვილის განცხადების გამო).

თანახმად ჩვენი პარტიის ც. კ.-ს დადგენილებისა ჩვენ, ქუთაისის ციხეებში მყოფ ამხანაგებმა, შევწყვიტეთ გაფიცვა კვირას დილით 10 საათზე, შიმშილობის მე-5 დღეს.

ორშაბათ ღამეს ადმინისტრაციამ შეადგინა და წაიღო ამხანაგების სია.

გუშინ კი გვესტუმრა ადმინისტრაციის ინსპექტორი ბ. გეგელაშვილი მისი ნათქვამი არ არის რამოდენიმეთ ინტერეს მოკლებული, რადგან ახასიათებს ნათლად მეთოდებს იმ ბრძოლისას, რომელსაც აწარმოებს ჩვენ წინააღმდეგ გამარჯვებული პარტიის მთავრობა. პირველად ყოვლისა მან ფარდა ახადა „სიბნელით" მოცულ ჩვენ „ბედს". მან განაცხადა, რომ ჩვენ დაყოფილი ვიქნებით 4 კატეგორიათ: 1) ნაწილი განთავისუფლებული იქნება, 2) ნაწილი გადასახლებული საზღვარ გარედ, 3) ნაწილი ციხეში დატოვებული და მათ გადასცემენ სასამართლოს, და ბოლოს 4) ნაწილი ციხეში დარჩება ადმინისტრატიული წესით. როგორც მისი ლაპარაკს ეტყობოდა ეს ორი უკანასკნელი ნაწილები საკმაო „მოზრდილი" იქნებიან. ყველაზე უფრო საინტერესოა მე-4 ნაწილის „ბედი" როგორც ჩვენმა ამხანაგებმა კარგად იციან, მთელი ჩვენი ბრძოლა (შიმშილობის სახით) იქეთკენ იყო მიმართული, რომ გამოგვეაშკარავებინა მთავრობის და მისი აგენტების მიერ შეთითხნილი ჩვენ წინააღმდეგ წამოყენებულ „ბრალდებების" სრული სიყალბე და უსუსურობა. მენშევიკებმა ვითომც დაგვპირდენ—დიდი რიხითაც—ამ ჩვენი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. „ჩვენ საკმაო საბუთები მოგვეპოება თქვენს წინააღმდეგო"—ვანაცხადა „ერთობის" მოწინავემ. ასეთივე იყო ქუთაისის ქალაქის თავის განცხადება, დასაბუთებული მისი „პატიოსანი სიტყვით". როგორც ეტყობა დიდი წონის არ ყოფილა ეს „პატიოსანი სიტყვა).

ასეთივე სიტყვებით მოგვმართა გაფიცვის მეორე დღესვე ქუთაისის „დიქტატორმა" მაღნარაძემ, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელით. სწორეთ ასეთივე სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი თვით გეგელაშვილმაც. „თქვენი მოთხოვნილება—ბრალდებების წამოყენება დაკმაყოფილებული არისო. და მართლაც, ამდენი რიხიანი განცხადებებს ასეთი დასკვნაც უნდა ქონოდა. მაგრამ... როგორც წერილის თავში დაინახავდით მე-4 კატეგორიაში შედიან ისეთები, რომლებიც ციხეში დარჩებიან ადმინისტრაციულად, რადგან მათ წინააღმდეგ კონკრეტიული, დასაბუთებული ბრალდებები არ არისო. ჩვენ შეკითხვაზე, თუ „რით ხელმძღვანელობს მთავრობა, როდესაც ასეთი პირებს ციხეში ტოვებს" ბ. ვეგელაშვილმა წარბშეუხრელათ გვიპასუხა: სამინისტროს მოსამსახურეთა „პირადი რწმენით" (личним убеждением), მაგალითად ამხ. თედორე კალანდაძეს მან განუცხადა: „თქვენ დარჩებით ციხეში ადმინისტრატიული წესით, რადგან ჩვენი „პირადი რწმენა" („личное убеждение") ასეთია, რომ თქვენ უნდა მუშაობდეთ არა ლეგალურათ, რესპუბლიკის დასამხობათ აჯანყებებს აწყობდეთ და სხვა.

ასეთივე რწმენისაა სამინისტრო კიდევ ზოგიერთებზე.

კომენტარიები ზედმეტია.

იქ, სად:ც რევოლიუციონერებს თვეობით და წლობითაც ციხეში ალპობევინმე, დღეს „გადიდკაცებული" კაცუნა—ხამების „პირადი რწმენით"—იქ სამართლიანობის ძებნა მართლაც რომ წყლის ნაყვაა. უხეში ძალ-მომრეობა და, საფიქრებელია, ახლო მომავალში შესაძლებელ „როლების" შეცვლის გამო წინდაწინვე „ავანსათ" შურის ძიება—აი რასთან გვაქვს საქმე.

„ზოგიერთებს (მე-3 კატეგორია) სასამართლოს გადავცემთო"—ვნახოთ ჩვენ ეჭვი შევვდის ამაში და საფუძვლიანათაც. ვნახოთ როგორ გაგვიქარწყლებენ ამ ეჭვებს. პირადად ამხ. მიშა ოკუჯავას წინააღმდეგ მათ ქონიათ დიდი მნიშვნელობის" საბუთები. ალბათ ამასაც მალე დავინახავთ. საერთოდ კი ბ-ნი გეგელაშვილი დაგვპირდა, რომ საქმეები გამოირკვევა სამ კვირის განმავლობაში.

P. S. სხვათა შორის ჩვენ მოვთხოვეთ მას, რომ გადასასახლებელ ამხანაგებს მისცენ ოჯახური და პირადი საქმეების მოსაწყობათ საკმაო ვადა.

ვ. ბ.

(ქუთაისის ციხე—11 აგვისტო).

# სოფელი და მიწის მუშა

### საბჭოთა რუსეთში.

**სასოფლო მეურნეობა საბჭოთა რუსეთში**

ეკატერინოსლავიდან იტყობინებიან, რომ მთელ გუბერნიაში ფართოდ წარმოებს მინდვრების დამუშავება ორთქლის ტრაქტორებით. ყველა მაზრებში და მსხვილ ცენტრებში მოწყობილია სასოფლო-სამეურნეო სახელოსნოები.

**სასოფლო სამეურნეო კოლექტივების ზრდა**

ოსტაშკოვის მაზრაში უკანასკნელ თვეებში შესამჩნევად იზრდება სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების რიცხვი. ასე, მაგალითად, უკანასკნელ თვეში მოეწყო 17 კოლექტივი.

**განათლების შეტანა გლეხებში**

ხოლმოგორის მაზრაში მოწყობილია 35 კულტურულ-განმანათლებელი წრე, 63 ქოხ-სამკითხველო და 2 რაიონული ბიბლიოთეკა.

**კვირაობა სოფლათ**

გოროდოვეცკის მაზრის სოფელ ქვედა ლანდეხის გლეხებმა მოაწყვეს პირველი კვირაობა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 100 მოქალაქემ. მუშაობდენ დილის 8 საათიდან 12 საათამდე. შეაკეთეს სოფლის ახლო გაყვანილი გზები, მოაწესრიგეს ცეცხლის მქრობელთა რაზმი.

ახლო მდებარე სოფლებმაც მოაწყვეს აგრეთვე კვირაობა საზოგადოებრივ სამუშაოების შესასრულებლად.

**მოსკოვის გუბერნიის მიწის მუშათა კავშირის ყრილობა**

6-ს ივნისს ქ. მოსკოვში შესდგა ბოგანო გლეხების ყრილობა. ყრილობაზე სულ 242 გლეხკაცი იყო (215 მუშა და 27 მუშა-ქალი), რომლებიც წარმოადგენდენ 30 პროფესიონალურ კავშირში შეკავშირებულ 7,925 კაცს. კომუნისტები იყო 60, დანარჩენები კი თანაგრძნობი და უპარტიო. მიუხედავათ ამისა ყრილობა ერთსულოვნათ კომუნისტური ლოზუნგების ქვეშ ჩატარდა.

**სასოფლო-სამეურნეო არტელები**

ლიპოვეცკის მაზრაში (ტამბოვის გუბერნია) გაფართოებულათ წარმოებს ახალი სასოფლო-სამეურნეო არტელების მოწყობა.

**ნიადაგის ელექტროფიკაცია რუსეთის ჩრდილოეთ გუბერნიებში**

პეტერბურგში ეწყობა ბიურო პეტერბურგისა და ჩრდილოეთ ოლქის გუბერნიების ნიადაგის ელექტრიფიკაციისათვის. შემოდგომისათვის განზრახულია შეუდგენ ნიადაგის დამუშავებას ელექტრონის საშვალებით 30,000 დესეტინის მანძილზე.

**სასოფლო-სამეურნეო კომუნა**

კავკორის განყოფილების სტანიცა ტერნოვსკაიაში მოეწყო სასოფლო-სამეურნეო კომუნა 54 ოჯახისაგან.

**„გზა სოციალიზმისაკენ"**

ქ. არმავირში, ლაბინის განყოფილების სოფელ კინოკოვოში მოეწყო სასოფლო-სამეურნეო შრომის არტელი „გზა სოციალიზმისკენ" სახელწოდებით. მიწის სიდიდე უდრის 420 ქცევას. არტელი აერთიანებს 21 ოჯახს 99 სულით.

### საზღვარ-გარედ

**სოფლის მუშების გაფიცვა ისპანიაში**

ჩრდილოეთ ისპანიაში უკვე კაი ხანია დიდი საგაფიცვო მოძრაობაა, რომელსაც, როგორც ჩვეულებრივია ასეთ შემთხვევაში, თან ახლავს სასტიკი რეპრესიები მთავრობის მხრიდან. ახლა გაზეთ „ფრანკფურტერ ცეიტუნგი" იუწყება, რომ გაფიცვამ იფეთქა სამხრეთშიაც სახელდობრ, ანდალუზიაში, რომელიც მსხვილი მემამულეების და ლატაკი ბოგანოების ტიპიური ქვეყანაა. გაფიცვა მალე საყოველთაო გახდა და უცბათ მეტად გამწვავებული ფორმა მიიღო გაფიცულები კარგათ არიან შეკავშირებული და მათში ალაგი არ აქვთ შტრეიკბეხერებს. მთავრობამ გაგზავნა ძლიერი რაზმები და ჟანდარმერია ყველა ცენტრალურ პუნქტებში, განსაკუთრებით კორდოვაში, სევილიაში და ხერესში, განზრახული აქვს ისარგებლოს მაროკოს დიდძალი სამუშაო ძალით. მოლენში უკვე დააგროვეს რვა ათასი შავკანიანი მიუხედავათ ამისა საგაფიცვო მოძრაობა სულ უფრო და უფრო ძლიერდება და ამ მოძრაობის ხელმძღვანელობა ხელში აქვს ჩაგდებული კომუნისტურ პარტიას.

# მუშათა ცხოვრება.

### ჩვენში

**მომარაგების სამინისტროს წისქვილის მუშათა შორის.**

ვინაიდან მომარაგების სამინისტროს წისქვილის რეორგანიზაციის გამო ადმინისტრაციის მიერ დათხოვნილ იქნა 11 მოსამსახურე პროფესიონალურ კავშირის და საქარხნო კომიტეტის დაუკითხავათ და დაუმტკიცებლათ, დასახელებულ წისქვილის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა დანიშნოს შერეული კომისია წისქვილის მუშათა კავშირის და მოსამსახურეების სამინისტროს წარმომადგენლებისაგან, რათა ყოველ მხრივათ გამოარკვიონ და გაარჩიონ საკითხი წისქვილის გამგის მოქმედებისა და მოსამსახურეთა ლიკვიდაციის აუცილებელ საჭიროების შესახებ.

ხოლო დასახელებული თერთმეტი მოსამსახურე, სანამ კომისია თავის მუშაობას გაათავებდეს, არ ჩათვალონ დათხოვნილათ და ადგილიდან გადაყენებულათ.

### საზღვარ გარეთ

**მუშათა დემონსტრაციები სპეკულიანტების წინააღმდეგ.**

„როსტის" რეველის განყოფილების ბერლინის კორესპონდენტი იუწყება: ამ უკანასკნელ დღეებში გერმანიის სხვა და სხვა ქალაქებში მოხდა მუშათა დემონსტრაციები სპეკულიანტების წინააღმდეგ. მუშები მოითხოვენ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში მუშათა კონტროლის შემოღებას.

**პასუხათ მუშებს**

„გოლოს რეჩი" იუწყება, რომ მუშათა დეპუტაციას, რომელიც თხოულობდა მუშების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობას, გენ. ვრანგელმა განუცხადა: „ამ ჟამად მთავრობას არ შეუძლია გაარჩიოს პოლიტიკური ხასიათის კითხვები".

**ჩეხელ მუშების საჩუქარი**

ქ. კლადნენში, ჩეხო სლოვაკიაში, რომლის მუშები ასე დიდი ხანია უკვე იბრძვიან კომუნიზმისათვის, გახსნილია საორთქლმავალო ამშენებელი ახალი ქარხანა. კლადნენის მუშებმა გამოიტანესა დადგენილება გაუგზავნონ საჩუქრათ ამ ქარხნიდან გამოშვებული პირველი ორთქლმავალი საბჭოთა რუსეთის მუშებს და გლეხებს.

ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც უცხოეთის მუშები ყიდულობენ კაპიტალისტებისაგან საჩუქარს, რომელიც სჭირიათ მათ იმისთვის, რომ გაუგზავნონ თავის რუს ძმებს.

**უფასოთ მიმოსვლა ტრამვაით საბჭოთა რუსეთში.**

ახლო მომავალში პეტროგრადში მოეწყობა ტრამვაით უფასო მიმოსვლისა. უფასო მიმოსვლის უფლება მიეცემათ მუშებს, მოსამსახურეებს და წითელ არმიელებს.

**კავკასიის მუშათა ტეხნიკუმი.**

შემოდგომიდან ქ. სტავროპოლში გახსნილი იქნება კავკასიის მუშათა ტეხნიკუმი და მასთან ერთად მოსამზადებელი კურსებიც.

**შკოლები მუშებისთვის.**

ბაქოს მუშათა კავშირმა განუცხადა განსახკომს გახსნას საჩაროთ ბალახანასაბუნჩის რაიონში შკოლების მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის. თავისი მხრით კავშირი ხელს შეუწყობს, რომ ასეთი შკოლები გახსნილ იქნას ყოველ ფაბრიკაში და ქარხანაში.

**დახმარება უმუშევრებისათვის ადერბაიჯანში.**

შრომის ბირჟასთან უკვე მოეწყო ქვე-განყოფილება, რომელიც ამ დღეებში დაიწყებს დახმარების მიცემას ყველა უმუშევართათვის, 1,200 მანეთიდან 2,400 მანეთამდე თვეში.

**მუშათა კლუბები.**

სადგურ ძეგამ და ქედაბექში (ადერბაიჯანში) გახსნილია მუშურ-გლეხური კლუბები სამკითხველოებით, ბიბლიოთეკებით და სცენით, რომელთანაც ეწყობა დასები. მუშათა კლუბები გახსნილია აგრეთვე გეოქჩაიშიაც. ამას გარდა განზრახულია ანინოში საბავშვო ბაღის გახსნა.

# ფონდი

მივიღეთ გაზ. „ახ. კომუნისტის" სასარგებლოთ: თფ. მეორე რაიონის საბსჭოაგან—1.100 მან., მეორე რაიონის 2-რე იაჩეიკისაგან—280 მ., 19-ტე იაჩ. —400 მ., 13 იაჩ. — 80 მ. და 11 იაჩ. 130 მ. სულ—1990 მ.

# ჩვენი ფოსტა

**დ. ჩხარის კორესპონდენტს:** ჯერ კორესპონდენციები გამოგვიგზავნეთ და გაზეთს შემდეგ გამოგიგზავნით.

**ანაზარდს:** ლექსები არ გამოგვადგა და ვერ ვბეჭდავთ.

**ქუთაისელ ამხანაგებს:** აირჩიეთ პასუხის მგებელი კორესპონდენტი და მოგვაწოდეთ კორესპონდენციები ადგილობივ მუშათა და პარტიულ ცხოვრებიდან.

**დრ. რედაქტორი:**

**დიმიტრი ჯორბენაძე.**

# უწყებანი:

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის მეოთხე რაიონის ბიურო დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

**ამხანაგების საყურადღებოთ!**

მეორე რაიონის ს. კ. პ. ბიურო დროებით გადავიდა ტატიანის ქუჩიდან რუსთაველის სადგომში, მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ.—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მესამე რაიონის ს. კ. პ. ბიურო** დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 ნახ. საათიდან ნაშუადღევის 1 ნახ. საათამდინ და საღ. 5 ნახ საათ. 7. ნახ. საათ.

თფილისის კომუნისტური ორგანიზაციის პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩაზე 135, სადაც პლეხანოვის სამკითხველოა.

ბიურო ღიაა საღამობით 5—7 ნახ. საათამდე.

ბიურო ს. კ. პ. ლანჩხუთის რაიონული კომიტეტისა მოთავსებულია კალისტე ებრალიძის შენობაში (მუშათა უბანში), აქვე მოთავსებულია დროებით გურიის კომიტეტი საქართველოს ახალგაზდათა კომუნისტური პარტიისა.

**რაიონ. კომიტეტის პრეზიდიუმი.**

საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურო დროებით მოთავსებულია ნოვო-ბებუთოვის ქ. № 11 (Ново Бебутовска ул. № 11) მდივანი იღებს 11—1 ს.

# ორგანიზაციების საყურადღებოთ!

საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის საწყობში არის შემდეგი გამოცემები. ორგანიზაციებს შეუძლიათ მოიკითხონ კომიტეტის სადგომში—ტფილისი, პასკევიჩის ქ. № 3.

1) საგუბერნიო თათბირი ქ. ტფილისში და დადგენილება მიწის შესახებ.
2. კომუნისტური პარტიის მანიფესტი.
3. საბჭოთა რესპუბლიკა.
4. კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმა.
5. ვლ. რომანოვი—იმპერიალიზმი.
6. კავკასიის მშრომელ მასსას.
7. მიწის სოციალიზაციის ძირითადი კანონი.
8. ლენინის მოხსენება და სიტყვა მე-3 საბჭოთა ყრილობაზე.
9. ნ. ლენინი—სახელმწიფო და რევოლიუცია.
10. კ. მარქსი და ფ. ენგელსი—კომუნისტური მანიფესტი
11. ნ. ბუხარინი—პროგრამა კომუნისტებისა (ბალშევიკების).
12. პარტიული წესდება.

სტამბა „ეკონომია" დიდი ვანქის ქ. № 3.